ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

,,ქართული ოცნების“ სხდომის

ოქმი N 7

16.03.2026
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში. სხდომას ხელმძღვანელობდა ფრაქციის თავმჯდომარე, ბატონი დიმიტრი მხეიძე.

ესწრებოდნენ ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ წევრები:

გიორგი ჭიღვარია, მარეხი ნიჟარაძე, ამირან კოპალეიშვილი, ლაშა გვენეტაძე, გიორგი იობაშვილი, ბესიკ ჩეჩელაშვილი, კობა ფხაკაძე, მანანა ჩიხლაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, ალეკო თამაზაშვილი, ბიქტორ გვეტაძე, სალომე სარალიძე, სანდრო ნერგაძე, მაგდა კოსტავა, ლანა ჩიტიძე.

სულ 16 წევრი

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“თავმჯდომარემ ბატონმა დიმიტრი მხეიძემ და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ბატონი დავით ჭეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის
განვითარების სამსახურის უფროსი

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ , ბატონმა დიმიტრი მხეიძემ დღის წესრიგთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ერთხმად დაადგინეს:

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა, ბატონმა დავით ჭეიშვილმა.

დავით ჭეიშვილი: ,, მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიშს 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ 2025 წელს განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები.

მუნიციპალური და ინფრასტრუქტურული პროგრამების შესრულების მიზნით, ფონდებიდან ჯამში გამოიყო- 88 535 333,34 ლარი, მათ შორის: საქართველოს მთავრობის #1995 განკარგულება - 13,336,931.00 ლარი; საქართველოს მთავრობის #1049 განკარგულება- 40,000,000.00 ლარი; სტიქია (კონტარქტები) - 18,033,333.00 ლარი; ადგილობრივი ბიუჯეტი - კაპიტალური სამუშაოები- 12,137,569.34 ლარი; ადგილობრივი ბიუჯეტი - ობიექტების მოვლა/პატრონობა- 5,027,500.00 ლარი; რგპფ (#19995 განკარგულება) -დან გამოყოფილი თანხებიდან დაიხარჯა 14 239 501 ლარი თანადაფინანსებით, მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის 6 670 971 ლარი, სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებისთვის 2096043,0 ლარი, სკვერების მოწყობისთვის 485133 ლარი, სპორტული მოდნებისთვის-2885639 ლარი, ფასადების რეაბილიტაციისთვის1 944 819 ლარი, საყრდენი კედლების მოსაწყობად 156 896 ლარი/იხ.დანართი/. რგპფ (#1049 განკარგულება) -დან გამოყოფილი თანხებიდან დაიხარჯა და მიმდინარეობს სამუშაოები: სპორტული ინფრასტრქუტურა - 36 ობიექტი- 4,061,615.01 ლარი; რეკრეაციული ინფრასტრუქტურა -29 ობიექტი- 2,777,776.99 ლარი; ფასადები; რგპფ (#1049 განკარგულება) -დან გამოყოფილი თანხებიდან დაიხარჯა დდდდდდდ მიმდინარეობს სამუშაოები: სპორტული ინფრასტრქუტურა - 36 ობიექტი- 4,061,615.01 ლარი; რეკრეაციული ინფრასტრუქტურა-29 ობიექტი- 2,777,776.99 ლარი; ფასადები- - 34 ობიექტი- 9,738,510.00 ლარი; ბეტონის გზები 19 ობიექტი- 1,179,500.00 ლარი; ასფალტის გზები - 30 ობიექტი 4,933,832.69 ლარი; ეზოები 27 ობიექტი 404,479.50 ლარი; საყრდენი კედლები - 17 - ობიექტი - 1,314,082.29 ლარი; ღვარსადენები 9 ობიექტი- 2,012,254.36 ლარი; ურნები და სპეც ტექნიკა 7,022,000.00 ლარი; ლიფტები 30 ობიექტი 1,500,000.00 ლარი; ,,სახურავები(მასალა) -48 000 კვ.მ. ჰიდროსაიზოლაციო; 18830 კვ.მ. თუნუქი - 469,991.00 ლარი; სახურავები (კაპიტალური) - 41 - 1,130,009.00 ლარი; ტურისტული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა (მულტიფუნქციური მუზეუმის დაფინანსება) -

1,120,000.00 ლარი./იხ.დანართი/. სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხებიდან -18 033 333 ლარიდან, დასრულდა მდინარე ოღასკურას კალაპოტის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია 4133 333 ლარის ფარგლებში, მიმდინარეობს სამუშაოები გაფრინდაშვილის ფერდზე-13 900 000 ლარის ფარგლებში და მწვანე ყვავილას ქუჩის 12-15-ზე - 3 259 770,95 ლარის ფარგლებში. /იხ.დანართი/. ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესრულდა კაპიტალური სამუშაოები ჯამში12 137 569,34 ლარის ფარგლებში. /იხ.დანართი/. ადგილობრივი ბიუჯეტიდან პერიოდული მოვლა-პატრონობის სამუშაოებისთვის დაიხარჯა-5 027 500 ლარი, მათ შორის; გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება-1500000 ლარი; ქალაქის გამწვანება, მოვლა-პატრონობა და სკვერების კეთილმოწყობა-1547500 ლარი, ვიდეო - სამეთვალყურეო კამერების შეძენა-ექსპლოატაცია-200 000 ლარი; ბუნებრივი სასულეების ექსპლუატაცია-80 000 ლარი; საპრეოქტო და საზედამხედველო მომსახურება-1700 000 ლარი /იხ.დანართი/.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ 2026 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ

მუნიციპალური და ინფრასტრუქტურული პროგრამების შესრულების მიზნით, იხარჯება 32 767 205,68 ლარი. მათ შორის: საქართველოს მთავრობის #102 განკარგულება - 12114975 ლარი; საქართველოს მთავრობის #283 განკარგულება- 10 803030,68 ლარი; საკუთარი ხარჯები 9 849 200,0 ლარი.

რგპფ (102 განკარგულება) -დან გამოყოფილი თანხებიდან იხარჯება 12 114 975 ლარი თანადაფინანსებით, მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის 861 829 ლარი, სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებისთვის 4 908 864 ლარი, სკვერების მოწყობისთვის2 795 999 ლარი, სპორტული მოდნებისთვის-85 705 ლარი, საყრდენი კედლების მოსაწყობად 1 681 117 ლარი და ახალი ლიფტების მოსაწყობად 1 160 351 ლარი. /იხ.დანართი/.

283 განკარგულებიდან გამოყოფილი თანხებიდან იხარჯება ჯამში 10 803 030,68 ლარი, მათ შორის : ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გარეთიანების N12 კომპლექსური სკოლის შენობის რეაბილიტაცია-424 775,0 ლარი, ქ. ქუთაისში, ფოლკლორის ცენტრის (მის: ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #15) გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები-1 124 031,0 ლარი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის (ქ. ქუთაისი. შ. რუსთაველის გამზირი #3) სახურავის. ერთი ფლიგელისა და რიგი ოთახების რეაბილიტაცია-1254224,68 ლარი რეკრეაციული ინფრასტრქუტურის მშნებლობა (მ/შ ახალგაზრდობის გამზირზე არხის გასწვრივ)-3000 000 ლარი, ამორტიზებული ლიფტების ჩანაცვლება ახლით-5000 000 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან იხარჯება 9 849 200 ლარი : მათ შორის სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია- 300,000.00 ლარი; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია- 100,000.00 ლარი; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის

რეაბილიტაცია- 150,000.00 ლარი; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია -500,000.00 ლარი; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა - გადაცემა - 200,000.00 ლარი; ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება 300,000.00 ლარი; მემორიალების მოწყობა- 50,000.00 ლარი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების განხორციელება- 1,500,000.00 ლარი; საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება 1,009,900.00 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან პერიოდული მოვლა-პატრონობის სამუშაოებისთვის დაიხარჯა-5 739 300 ლარი, მათ შორის; გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება 1,400,000.00 ლარი; ბუნებრივი სასულეების ექსპლუატაცია 100,000.00 ლარი; ვიდეო - სამეთვალყურეო სისტემების შეძენა-ექსპლოატაცია 2,242,300.00 ლარი; ქალაქის გამწვანება, მოვლა-პატრონობა და სკვერების კეთილმოწყობა 1,997,000.00 ლარი".

აზრი გამოთქვეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ბესიკ ჩეჩელაშვილი - „როგორ ხდება გადარიცხვა ტენდერში გამარჯვებული პირისთვის?"

დავით ჭეიშვილი - ,,ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოს მიხედვით".

ბესიკ ჩეჩელაშვილი - ,,გვაქვს თუ არა ჭონქაძის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი?"

დავით ჭეიშვილი - ,,პროექტი არის, დამატებითი დეტალები გასავლელია სამინისტროსთან".

მარეხი ნიჟარაძე- ,,საფიჩხიის მოედანზე არის კანალიზაციის მილი, რომელიც შედის მრავალბინიან მასივში. ხომ არ გაქვთ ინფორმაცია ამ მილების გამოცვლასთან დაკავშირებით?"

დავით ჭეიშვილი -,, ეტაპობრივად დავიწყებთ, აღნიშნული სამუშაოების შესრულებას".

მარეხი ნიჟარაძე -,,სოლომონ II –ის ქუჩაზე, ხიდთან არის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე რამდენიმე კერძო სახლი, მოსახლეობას დავპირდით ფასადების მოწესრიგებას, რა ხდება აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით?

დავით ჭეიშვილი - ,,ეს საკითხი გასავლელია ძეგლთა დაცვის სააგენტოსთან და აუცილებლად ჩავერთვებით".

დიმიტრი მხეიძე-,, არის თუ არა ჩაბარებული კოსტავას ქუჩა და რა პრობლემებია კიდევ დარჩენილი?"

დავით ჭეიშვილი -,,ჩაბარებული არ არის, დარჩენილია საფარის სრული მოწესრიგება".

ლაშა გვენეტაძე -,, ყველა სამაჟორიტაროს პრობლემაა ღვარსადენები და კანალიზაცია, კერძოდ ღვარსადები დაერთებულია კანალიზაციასთან. რა გამოსავალს ხედავთ ამ შემთხვევაში?"

მირზა ხიდაშელი- ,,თუ ქუჩაზე შესვლის დროს კანალიზაციის ქსელის მოწყობის უფლება გვექნება, ის ყველაფერი რაც სანიაღვრეზეა მიერთებული, გადმოირთვება ქსელში, საკითხებს ამ შემთხვევაში მივუდგებით კომპლექსურად და შედეგიც გვექნება შესაბამისი".

სალომე სარალიძე -,,ბავშვთა სამყაროსთან ახალი დაგებული ფილები ავარიულ მდგომარეობაშია, ასევე დაზიანებულია ოპერის თეატრთან,მ მე-3 სკოლასთან,ცენტრალურ

ბაღში, რაც ქვეითად მოსიარულეთათვის დიდი პრობლემაა. ამ მიმართულებით , მათ თავიდან შეკეთებასთან რაიმე თუ იგეგმება?“

ზურაბ კუხიანიძე -,, თებერვალში უკვე გაფორმდა ხელოშეკრულება და ეტაპობრივად რეაბილიტაციაც დაიწყება“.

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ბატონმა დიმიტრი მხეიძემ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით **დაადგინეს:**

მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“
თავმჯდომარე დიმიტრი მხეიძე